ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4517443

ნომერი: AR1680111

თარიღი : 10.05.2019

გაცემის თარიღი : 28.05.2019

გაცნობის თარიღი : 28.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი , (ნაკვეთი 01/082);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კაკაშვილი პ/ნ 01034003560
- თბილისი ო.ჩეჩელაშვილის ქ. N 157

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, აეროპორტი, (ნაკვეთი 01/082), შ.პ.ს. "ლასარე"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი N 01.19.30.001.082), I კლასის ღია ავტოსადგომის მოწყობაზე წერილობითი თანხმობის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "ლასარე"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.19.30.001.082, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018433547 23/05/2018წ.), ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, აეროპორტი, (ნაკვეთი 01/082), შ.პ.ს. "ლასარე"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი N 01.19.30.001.082), I კლასის ღია ავტოსადგომის მოწყობაზე წერილობითი თანხმობის გაცემის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.